ბიბლიოთეკა
Библиотека
საჯარო ბიბლიოთეკა
Общественная библиотека

ორშაბათი

სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პარასკევი, 5 მარტი 1910 წ. № 25

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. წაიკითხეთ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. მეორე გვერდზე 10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სალამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა

ოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჰიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცკოვებისთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაყველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. ,,уладзе.

სახალხო თეატრი

სახალხო უნივერსიტეტი.

შაბათს, 6 მარტს, 1910 წელს დოქტორი ბ. ვ. სოგომონოვსკი წაიკითხავს ლექციას

სულანი და კონგო

(ჩემი შთაბეჭდილებანი ცენტრალურ აფრიკაში მოგზაურობიდან). დაწვრილებით აფიშებში.

დასაწყისი საღამოს 8 ს. ფასები ძლიერ დაკლებულია. მოწაფეთათვის 40 კ.

თეთრი უპირველესი აბრეშუმის თესლი, ბაღდადის ჯიშისა

მისრან სანჯიანისა

სტამბოლი-არტატელ

საუკეთესო თეთრი აბრეშუმის თესლი ბაღდადის ჯიშისა

თეთრი განდეროლით

მსურველმა უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Гостиница ,,Кавказъ“ кв. 33. (4—1)

თფილისის კერძო სამკურნალო

30 შუქმიანი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით. დღე და ღამის ყოველდღე მზისარულე ავთმყოფთათვის.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 7, „ვეტკელის“ სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

ლამბაშიძე ვ. დ. შინაგან და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა კვირისა 1—12 ს.

გედევანიშვილი ი. ა. ნერვების და ელ. ორშაბ., ოთხშ. და პარ. 10½—11.

გურკო ბ. ა. შინაგანი. შაბათს 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

ძიძოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბათობით 9—10 ს.

ჟარშინი ა. ა. კანისა და ვენ., ყოველ დღე, კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. ვ. შინაგ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

მანსვეტოვი ვ. ვ შინაგანი. ორშაბათ., სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც გაუგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. (100—90)

ოთხშ. და პარ. 1—2 ს.

გელეიძიშვილი ნ. ვ. ქირურგ. და დედაკ. ყოველ დღე 12—1 ს.

ფუსხელიშვილი ვ. ხ. თვალის. ორშაბათ. ოთხშ. და პარასკ. 2—2½ ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურგ., ყოველ დღე 11—12 ს.

პოპოვი ბ. ა. ყურის, ყელის და ცხვირის, ყოველ დღე, გარდა პარ. 2—2½ ს.

რცხილაძე ნ. კბილ. ყოველ დღე 9—10 ს,

სოგომონოვსკი ბ. ვ. ქირურგ. ყოველ დღე. 9—11 ს.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაცია, ელექტრონით წამლობა, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძაცა შემოწმება და შეღავათიანი საფასურით.

კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვოგზლის ქ., № 8; ს. ენფიაჯიანცისა (ტელეფონი 695.

ექ. ს. ვაშაყმაძე კბილის ავათმყ. ყოველ დღე 10—11 ს.

ექ. ი. გომართელი ,ყოველ დღე 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

ექ. ა. ნ. დიასამიძე: ყოველ დღე 11½—12½ ს.; სიფილ., ვენ და კანის ავათმყ.

ექ. ნ. ვ. მელიქიშვილი: ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქალურგ. ავათმყ.

ექ. ბ. ა. პოპოვი: ყოველ დღე, გარდა კვირისა 12—1 ს.; ყურის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

ექ. ვ. ხ. მუსხელიშვილი: სამშაბათს ხუთ) და შაბათს 2—2½ ს.; თვალის ავათმყოფ.

ექ. ე. ვ. ფედოროვი: ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირ. 11—12 ს. შინაგანი და ბავშვ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ.. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

(100—90)

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დვებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. სალამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათ. ავჭალის 71 № (კიროჩნი ქუჩის ახლოს.)

კბილის ექიმი

ს. გაშაყმაძე

დილით მიიღება ავთმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დალმართი სახ. 5.

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

ფეიქრები

თარგ. ივ. ახვლედიანისა მიერ.

წიგნში ჩართულია კოგანის კრიტიკული განხილვა და ჰაუპტმანის სურათი ფასი 50 კაპ.

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია ,,ალიონი“-ს გვერდ ვ. გადილიასთან. პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Кирочная № 9 Василію Гадилія.

ამით საყოველთაოთ ვაცხადებთ, რომ ყოველად საუკეთესოთ და უტყუარათ ცნობილი

პასხალიდის აბრეშუმის თესლი

როგორც გასულ წლებში, ისე წელსაც მინდობილი აქვს გასასყიდათ ფაბრიკისავე დადგენილ ფასებში

მათე გაბრ—ს-ძე რუსიძის კანტორას

ქ. გაფუშეში, მარიინსკის პროსპ. სახ. № 10 (15—8)

ავლაბრის აუდიტორიაში

კვირას, 7 მარტს

ქ-ნი კარბელაშვილი ქართულათ წაიკითხავს

„იასონის“

შვიდ ბუნდოვან სურათებით. დასაწყისი თერთმეტ საათზე.

ქართველთა გამოცდილ ამხანაგობის

„ცინკოგრაფია“

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

ადრესი: თფილისი, დიდი ჯანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—11)

სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპ.)

3 მარტი.

სახალხო განათლების სამინისტრო იხილავენ სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას.

კაპუსტინი მოხსენებას აკეთებს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. სამინისტროს გამოანგარიშებით ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 76,847,260 მანათს. კომისიას შეუმცირებია 848,802 მანათით. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ სამი წლის განმავლობაში სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვამ 30 მილიონი მანათით იმატა. კომისია წინადადებას იძლევა დუმამ გამოსთქვას სურვილები: მოეწყოს ცენტრალურ სამმართველოსთან სტატისტიკური ნაწილი, რომ საჭიროების დროს შესაძლებელი იქნეს ცნობების ჩქარა მიღება; მოხდეს არსებულ პედაგოგიურ სასწავლებლების რეორგანიზაცია; მოხდეს ერთი დღით პირველ დაწყებითი სკოლების საყოველთაო აღწერა და, დასასრულ, გადასინჯულ იქნას ყველა სასწავლო წიგნები.

სახალხო განათლების მინისტრი ლაპარაკობს კომისიის სურვილების შესახებ, რომ თვით სამინისტრო ხედავს, რომ სტატისტიკის საქმე რიგიანათ ვერ არის დაყენებული, მაგრამ მისი რიგიანათ დაყენება დამოკიდებულია მთელ ცენტრალურ დაწესებულების რეფორმასთან. სკოლების აღწერა სამინისტროს 1908 წელს ქონდა განზრახული და უკვე მზათ იყო ბლანკები, მაგრამ ერთი შემთხვევის გამო აღწერა 1910 წლის შემოდგომისთვის გადაიდო. ახალგაზდების აღზრდის შესახებ მინისტრმა განაცხადა, რომ უსაფუძვლოა ამ მხრით საყვედური, თითქო სამინისტრო არ ზრდიდეს ახალთაობას და არ უნერგავდეს მას სარწმუნოებრივ გრძნობას და მეფისა და სამშობლოსადმი სიყვარულს. სამინისტროს სხვა მიზანი არა აქვს, არც ქონდა და არც ექნება.

პურიშკევიჩი სურვილს აცხადებს, რომ დიდხანს დარჩეს თავის ადგილზე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე შვარცი და მისი ღირსეული თანამშრომელნი. ის ეხება პროფესორთა კავშირს. პროფესორები ხელს უწყობენ სტუდენტთა რევოლიუციონურ მოძრაობას. ამას ამტკიცებს უკანასკნელი წლების მოძრაობა და პროცესები. კავშირის წყალობით კათედრას არ აძლევენ ისეთ პროფესორებს, როგორც მაგალითად ოფტალმოლოგი გოლოვინი. მოსკოვის უნივერსიტეტში მას ამჯობინეს ძაღლის ლეკვი მაკლაკოვი (ხმები მარცხნიდან, მათ შორის მაკლაკოვის ხმაც: „ისიც შავრაზმელია“.) შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ უმაღლესი სასწავლებლები ხელში ჩაიგდეს სტუდენტ-რევოლიუციონერებმა და ებრაელებმა, ფულით დახმარებას მხოლოდ ებრაელები ღებულობენ, აკადემისტებს კი არაფერს აძლევენ. ორატორი აღნიშნავს, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტის „სტაროსტათა საბჭოში» არის ებრაელი ქალი, რომელსაც „იურიდიულ მატკას“ ეძახიან და რომელსაც საბჭოს ყველა წევრებთან ფიზიკური დამოკიდებულება აქვს.

(დარბაზში საშინარი ხმაურობა ასტყდება. ხმები მარცხნიდან: გაეთრიე, საძაგელი! საზიზღარი! პურიშკევიჩი ყვირის: „არ გავალ“!)

თავმჯდომარე აცხადებს, რომ რაც კათედრიდან სთქვეს, დეე მთქმელის სინდისმა იცოდეს.

მილიუკოვი ადგილიდან: არ შეიძლება პურიშკევიჩის სინდისს მივმართოთ. ყველა სკამებზე ხმაურობაა.

თავმჯდომარე სთხოვს მილიუკოვს წესიერათ მოიქცეს. (მარჯვნით ტაშის ცემა. მარცხნით ხმები: „დახურეთ სხდომა, გაეთრიე პურიშკევიჩო“!)

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ის ნებას არ მისცემს პიროვნების შეურაცხყოფისას, აქ პიროვნება არ უხსენებიათ. (ხმაურობა, ხმები მარცხნიდან: არა, ახსენეს; წაიკითხეთ სტენოგრამა. თავმჯდომარე სთხოვს წესიერათ მოიქცენ).

მილიუკოვი ადგილიდან. თქვენ თითონ არ უნდა მოიქცეთ უწესოთ.

თავმჯდომარე ბატონო მილიუკოვო! ადგილიდან შენიშვნების მიცემის უფლებას მე არ მოგცემთ. (მარჯვნით ტაშისცემა. მარცხნით ხმაურობა. ხმები: პურიშკევიჩო, გაეთრიე! დახურეთ სხდომა).

თავმჯდომარე. თუ ბაზარი გამართეთ აქ, სხდომას დავხურავ.

ხმები: დახურეთ.

თავმჯდომარე. ვსწყვეტ სხდომას ერთი საათით.

სხდომის განახლებისას თავმჯდომარე აცხადებს, რომ მან გადაიკითხა სტენოგრაფიული ანგარიში და დარწმუნდა, რომ პურიშკევიჩმა ნება მისცა თავის თავს გაეკიცხა უცნობი ქალი ქუჩური სიტყვებით და ამით აღშფოთება გამოიწვია მთელ დუმაში. ამიტომ შეუძლებლათ ვცნობ ნება მივსცე პურიშკევიჩს განაგრძოს ლაპარაკი. ამასთანავე არ შემიძლია არა ვსთქვა, რომ დუმის წევრები ცუდათ მოიქცენ. მე ორხელ მივეცი შენიშვნა დუმის წევრ მილიუკოვს და ახლა უკანასკნელათ ვაფრთხილებ მას, რომ მისი ასეთი მოქმედება სასირცხოა...

მილიუკოვი ადგილიდან. ამ უკანასკნელ სიტყვის წინააღმდეგ პროტესტს ვაცხადებ.

ხმები მარჯვნიდან. ჩუმათ!

თავმჯდომარე (განაგრძობს) იმ კაცისაგან, რომელიც პატივს უნდა სცემდეს იმ დაწესებულებას, სადაც ის იმყოფება... (ტაშისცემა. მემარჯვენეები გადიან დარბაზიდან).

თავმჯდომარის ადგილს შიდლოვსკი იჭერს.

ფონ-ანრეპი ამბობს: სამინისტრომ დღეს აშკარათ დაამტკიცა, რომ დუმის სურვილებს ის არავითარ ყურადღებას არ აქცევს. რა გააკეთეს ახალგაზრდათა აღზრდის საქმეში არავის არაფერი უთქვამს. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ ის, რომ სასწავლებლები გასწმინდეს არა კეთილ-საიმედო მოსწავლეებისაგან, მაგრამ ეს ხომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმეა, დუმას კი სახეში კულტურული ზომები ქონდა. (მარცხნით ტაშისცემა). ორატორი ამტკიცებს, რომ საჭიროა უმაღლეს და დაბალ სასწავლებლებს შორის მჭიდრო კავშირი იყოს; დამოუკიდებელი იყოს საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები, აგრეთვე ადგილობრივი თვითმართველობათა ორგანოები და მოღვაწენი.

მღ. ტიტოვი ამბობს, რომ ხალხის აღსაზრდელათ საჭიროა სასწავლებლების გამრავლება. საჭიროა მთელი სკოლის სისტემის გადაკეთება და სკოლისა და ოჯახის დაახლოვება ერთმანეთთან.

ბელოუსოვი აცხადებს, რომ ს.-დემოკრატები იმის მაგიერ, რომ რაიმე იმედი ქონოდათ სახალხო განათლების მინისტრის, სიამოვნებით ეტყოდენ მას: „მიბრძანდით თქვენი ადგილიდან“. მინისტრს შემოაქვს სკოლის გარეთ განათლების კანონ-პროექტი, როცა ყველგან იხურება განმანათლებელი საზოგადოებები, სახალხო უნივერსიტეტები, ჩხრეკენ ბიბლიოთეკებს, ყველგან აჭრობენ სინათლეს, სიბნელე თანდათან ფეხს იკიდებს. ისმის „ჯოჯოხეთური ხმები: კიდევ რად არ გამქრალა სინათლე? კიდევ არ ჩამქრალა ჰაღები? (მარცხნით ტაშის ცემა).

საღამოს სხდომაზე განაგრძობენ კამათს ოპოლის კოსტელის შესახებ. ლაპარაკობენ პარჩევსკი, ეპისკოპოსი ევლოღი და გრ. უვაროვი.

დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მარტი.

სპარსეთი

თეირანი. რუსეთის მისიის პროტესტის გამო ხორასანში ასიფუ-დოულე აღარ დანიშნეს. ის თეირანში დაბრუნდა.

— რადგან ფინანსიურ სოვეტნიკ ბიზოსთან ხელშეკრულება გათავდა, მეჯლისმა დაადგინა დროებით განაგრძოს სამი თვით ხელ-შეკრულობა და გაგზავნოს ბიზო პარიჟში.

მოვიდა პარიჟის საიუველირო სინდიკატის აგენტი, რომელიც შახის ძვირფასი ნივთების დასაფასებლათ მიიწვიეს.

— რადგან საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრს უთანხმოება მოუვიდათ, საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელეებმა მუშაობას თავი გაანებეს. სამინისტროს გამგე ქალაქიდან წავიდა.

ოსმალეთი

სტამბოლი. პალატაში შეიტანეს კანონ-პროექტი გადაეცეს ჰააგის ტრიბუნალს რუსეთთან დავა, დამატებით მისცენ რუსეთის ქვეშევრდომთ 1877—1878 წლის ომის გამო მიყენებულ ზარალში გადახდილი ფულების პროცენტები.

— დეპუტატთა პალატა შეუდგა უძრავ ქონებაზე გადასახადების შესახებ კანონ-პროექტის განხილვას. ფინანსთა მინისტრი თხოულობს დააჩქარონ განხილვა. კანონ-პროექტით უნდა დაწესდეს 12 პროცენტიანი გადასახადი ყველა უძრავ ქონებაზე, მიწების გარდა. გადასახადებისაგან განთავისუფლებულია მემამულეთა და მუშათა სახლები, მეფის გვარეულობის სასახლე და საეკლესიო შენობები.

საზღვარ-გარეთ

ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე. ტარნოვსკაია ლაპარაკობს როგორ გახდა ის ნაუმოვის საყვარელი. იგონებს მასთან კიევში მოგზაურობას და აღიარებს, რომ ერთ და იმავე დროს დამოკიდებულება ქონდა ნაუმოვთან, პრილუკოვთან და გრაფ კომაროვსკისთან; ის ეძებდა დამცველს ცხოვრებაში და მიიღო კომაროვსკის წინადადება. ტარნოვსკაია უყვარს ყოფს, თითქო მას ძალა დაეტანებიოს პრილუკოვისთვის დაეზღვია თავისი სიცოცხლე მის სასარგებლოთ და მერე თავი მოეკლა. მისი მამა მდიდარი იყო და მას ფულები არ ეჭირვებოდა. ვენეციაში ის პრილიუკოვთან და კომაროვსკისთან ერთათ წავიდა. კომაროვსკიმ ვენეციაში დაიზღვა თავისი სიცოცხლე და ანდერძი დასწერა. მას თავის დღეში არ წაუქეზებია ნაუმოვი და პრილუკოვი მოეკლათ კომაროვსკი. ეს აზრი პრილუკოვს დაებადა. პრილუკოვის წინადადებამ ის აღაშფოთა. ის ნაუმოვთან ერთათ წავიდა კიევში. იქ პრილუკოვმა გაგზავნა ყალბი დეპეშა კომაროვსკის მიერ ხელმოწერილი, რომლითაც ნაუმოვს და ტარნოვსკაიას კიცხავდა. ამ დეპეშის შემდეგ ნაუმოვმა გადასწყვიტა სამაგიერო გადაეხადა კომაროვსკისთვის. შემდეგ, როცა ნაუმოვმა კომაროვსკი დასჭრა რევოლვერით, მან დეპეშა გაუგზავნა ტარნოვსკაიას, მაგრამ ის ვენეციაში არ წავიდა, რადგან მას პრილუკოვი არ გაუპირდა. ისინი წავიდენ ვენაში სადაც დაიჭირეს.

პარიზი. დეპუტატთა პალატა. ჟორესის და ნაციონალისტ ბერრის ინტრპელიაციის შესახებ კამათის გათავების შემდეგ პალატის პრეზიდენტმა ბარისსონმა კენჭი უყარა მორიგ საქმეებზე გადასვლის ფორმულას, რომელიც ბრიანის მიერ მოწონებულ იქნა. ფორმულის პირველი ნაწილი: „პალატა ჰკიცხავს ულირს წასისიანებას, რომლის საბუთი ზოგიერთმა სასამართლოს დაწესებულებებმა მისცეს». მიღებულ იქნა ერთხმათ—557 ხმით;

ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე. ტარნოვსკაია აცხადებს, რომ პრილუკოვის ბრძანებით უზვენა ნაუმოვს ყალბი დეპეშა თითქო კომაროვსკის ხელმოწერილი, რომელიც ნამდვილათ პრილუკოვმა გაუგზავნა. მას წინდაწინ არ მოულაპარაკნია პრილუკოვთან ამ დეპეშის შესახებ არ უთქვამს ნაუმოვისთვის გაეთავისუფლებია ის კომაროვსკისაგან. წინააღმდეგ, ის უშლიდა მის მოკვლას. მაგრამ, როცა მან ეს გადაწყვიტა, გაგზავნა ვენეციაში და გააფრთხილა.

ბერლინი. მოხდა სოციალ-დემოკრატთა 48 მიტინგი პრუსიის საარჩევნო კანონის გამო.

ვენეცია. ტარნოვსკაიას საქმე. თავმჯდომარეს შეკითხვაზე ტარნოვსკაია ამბობს, რომ მან სთხოვა ნაუმოვს ჩუმათ ეცხოვრა ვენაში, რომ კომაროვსკისთან შეტაკება არ მოსვლოდა. რადგან ეშინოდა, რომ ნაუმოვს თავი არ მოეკლა, მან სთხოვა პასპორტი ეშოვნა და ეცხოვრა მასთან ვენაში. კითხულობენ დეპეშებს, საიდანაც ირკვევა, რომ ნაუმოვი კომაროვსკის მიერ სიცოცხლის დაზღვევის მეორე დღეს მისულა ვენაში. ტარნოვსკაია აცხადებს, რომ არ აქებდა ნაუმოვს მოეკლა კომაროვსკი; პრილუკოვმა უარი სთქვა კომაროვსკის მოკვლაზე, იმის შიშით, რომ მკვლელობის შემდეგ ტარნოვსკაიას ის აღარ ეყვარებოდა. მაშინ პრილუკოვიმა მოიგონა დაეხმარებია ნაუმოვი. სხდომა იხურება.

ბერლინი. ლანდტაგი. მესამეთ წაკითხვის შემდეგ **238** ხმით, წინააღმდეგ **168** ხმისა მიიღეს საარჩევნო კანონი. სხდომაზე აური-ზაური მოხდა. სოციალ-დემოკრატმა ლანდტაგს ხურდა-მურდას დუქანი უწოდა. ასტყდა ხმაურობა. ზოგიერთი დეპუტატები მოღერებული მუშტებით გაქანდენ ტრიბუნისკენ. გაიმართა ხელჩართული ომი. ლიბკნეხტს ორჯერ მოუწოდეს წესიერებისაკენ.

ბარონდენბურგი. საარჩევნო კანონის გამო მანიფესტაციის დროს პოლიციას და მანიფესტანტებს შეტაკება მოუვიდათ. პოლიციელებმა ხმლები იძვრეს. დაიჭრა რვა კაცი. ბევრი დაატუსაღეს.

ბერლინი. რეიხსტაგი. საგარეო საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს კანიცმა ილაპარაკა იმის წინააღმდეგ, თითქო რუსეთი მხარს უჭერდეს ბალკანეთის სახელმწიფოებს ტერიტორიალურ გაფართოვების შესახებ.

რუსეთი.

ვორონეჟი. იწვის სადგურ კამენსკაიას ელევატორი. დაიწვა სამოცი ათასი ფუთი პური.

ბაქო. პოლიციამ აღმოაჩინა რევოლვერის პატრონების საკეთებელი. დაიჭირეს ოსმალელი. იპოვნეს ეჭვსასი პატრონა და საკეთებელი იარაღები.

ვლადიკავკაზი. ნარზანიდან მოსულ ცნობით კარაბულაკის სტანიცის კაზაკებს და სოფელ პლიევოს ინგუშებს შეტაკება მოუვიდათ 8 საქონლის მოპარვის გამო.

„განსაკუთრებული წესები“.

II

გაძლიერებული დაცვის დროს

ყოველივე უფლება-მოვალეობანი სახელმწიფო და საზოგადოებრივ წეს-რიგის დასაცველათ გენერალ-გუბერნატორების ხელში გადადის; სადაც კი გენერალ-გუბერნატორი არ არის,—გუბერნატორის ან გრადონაჩალნიკის ხელში. ამათ შეუძლიათ გამოსცენ სავალდებულო წესები საზოგადოებრივი წეს-რიგის და სახელმწიფო უშიშრობის დარღვევის თავიდან ასაცდენათ; მაგ., სახლის პატრონების მხრივ თვალყურის დაჭერა მათ უძრავ მამულებზე, მეეზოვების დაქირავება და მათი კონტროლი, წეს-რიგი მეეზოვების დაქირავების და მათი დათხოვნის და სხვ. სავალდებულო წესების დარღვევისათვის მათ შეუძლიათ დააჯარიმონ სამი თვის „არესტით“ ან და ხუთასი მანეთით. ამასთანავე, სავალდებულო წესების დამრღვევი პასუხს აგებს არა სასამართლოში, არამედ მასთან, ვინც ადმინისტრატიული წესები გამოსცა, ან ვისაც ეს ამ თავის უფლებას გადასცემს. შეუძლიათ აღკრძალონ სახალხო, საზოგადო და კერძო კრებებიც კი; დახურონ ყოველგვარი სამრეწველო და სავაჭრო მაღაზიები, როგორც დროებით, აგრეთვე გაძლიერებული დაცვის მოხსნამდე; აუკრძალონ კერძო პირთ იმ რაიონში ცხოვრება, სადაც არის გამოცხადებული „დაცვა“. გადასახლების უფლება კი არ აქვთ, თუ ამის ნება არ მიიღეს შინაგან საქმეთა მინისტრისაგან, რომელიც ამტკიცებს ან არა სამინისტროსთან გადასახლების კითხვისთვის შემდგარ საბჭოს დადგენილებას. ვადა გადასახლების 1 წლიდან ხუთ წლამდეა.

შეუძლიათ დაითხოვონ სამსახურიდან დაქირავებული (არა ამორჩეულნი) მოხელეები ქალაქის, ერობის და მომრიგებელ-სასამართლოს დაწესებულებებში.

საგანგებო წესების დროს

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უფლებების გარდა გენერალ-გუბერნატორს ეძლევა კიდევ შემდეგი უფლებები: შეუძლია პოლიციის დასახმარებლათ დააარსოს სამხედრო-საპოლიციო რაზმები; **აღნიშნული რიგი** საქმეებისა გამოჰყოს სამოქალაქო სასამართლოებიდან და გადასცეს სამხედრო სასამართლოებს. დაადგინ სეკვესტრი უძრავ მამულებს და „არესტი“ მოძრავს საგანგებო წესების მოხსნამდე; ამ მამულებს ამ დროს განაგებს მიწად-მოქმედების დაწესებულება. საგანგებო წესის მოხსნისთანავე წმინდა შემოსავალი პატრონს უბრუნდება. ამ ზომას ადმინისტრაცია იმ შემთხვევაში მიმართავს ხოლმე, როდესაც შენიშნავს, რომ მამულის ან მოძრავის პატრონი შემოსავალს ახმარს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ საქმეებს.

ადმინისტრატიული წესით ციხეში ატუსაღებს არა უმეტეს სამი თვისა ან აჯარიმებს სამი ათასს მანეთამდე, როგორც სავალდებულო დადგენილებების დარღვევისათვის, ისე იმ დანაშაულის ჩადენისათვის, რომელიც წინდაწინვე გამოყოფილია სასამართლოს განკარგულებიდან და საჯაროდ გამოცხადებულია.

აყენებს სამსახურიდან ყველა უწყების მოხელეებს, გარდა სამი უმაღლესი კლასის „ჩინის“ მქონისა, აგრეთვე სამოქალაქო და საეროპო დაწესებულებებში არჩეულ პირთა მოსამსახურეებს; ხურავს სამოქალაქო საეროპო და წოდებრივ კრებებს და კრძალავს ამა თუ იმ კითხვებზე მსჯელობას;

ხურავს პერიოდულ გამოცემებს (ჟურნალ-გაზეთებს) საგანგებო წესების მოხსნამდე.

ხურავს ყოველგვარ სასწავლებელს ერთი თვის ვადით. ამ ზომის მიღებას ატყობინებს სასწავლებელის უფროსს და შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც, თუ საჭიროთ დაინახავს, შეუძლია განაგრძოს ეს ვადა, თუ მინისტრთა საბჭო თანახმა გაუხდა.

ადმინისტრაციის განკარგულების გასაჩივრება შეიძლება ორი კვირის ვადაში დღიდან დადგენილების გამოცხადებისა. საჩივრით მიმართვა შეიძლება შინაგან საქმეთა მინისტრთან ან სენატის პირველ დეპარტამენტში.

სამხედრო წესების შემოღებისთანავე 14 აგვისტოს „კანონები“ ძალას კარგავენ და მთელი მართვა-გამგეობა სამოქალაქო პირებიდან სამხედრო პირებზე გადადის. სამოქალაქო დიქტატურა იცვლება სამხედრო დიქტატურით.

თავი და თავი განსხვავება საგანგებო და სამხედრო წესებს შორის ის არის, რომ უკანასკნელის დროს ადგილობრივი მართვა-გამგეობა ერთიან მოწყვეტილია ცენტრალურ დაწესებულებებიდან და მათ შორის არავითარი დამოკიდებულება არ არის. საქმეებს განაგებს სამხედრო პირი, ჯარების მთავარ-სარდალი და მისი გადაწყვეტილება **განუსაჩივრებელია.** თუ კი მთავარ-სარდალი უფლებას გენერალ-გუბერნატორს გადასცემს, უკანასკნელის **გადაწყვეტილების განსაჩივრება შეიძლება მთავარ-სარდალთან.** (სამხედრო წესების მე-13 მუხლი).

იმ უფლებების გარდა, რომლებიც მინიჭებული აქვს საგანგებო წესების ძალით გენერალ-გუბერნატორებს, სამხედრო წესები მას აძლევენ შემდეგ უფლებებს: შეუძლია, მთავარ სარდალის თანხმობით, დახუროს სასწავლებლები სამხედრო წესების მოხსნამდე; გადაასახლოს „მავნე“ პირი შიდა გუბერნიებში. მთავარ-სარდალს აქვს უფლება აუკრძალოს მცხოვრებლებს, რომელნიც სასარგებლოთ იქნებიან ცნობილნი, ომიანობის დროს, ადგილის დატოვება და სხვაგან გადასახლება; შეუძლია დასწვას, დაანგრიოს, გაანადგუროს შენობები და ყოველივე ის, რაც რომ ჯარების მოძრაობას ხელს შეუშლის, მხოლოდ პატრონს ზარალი უნდა აენაზღაუროს (მე-11 მუხლი) და სხვ.

აქვს უფლება ყოველი დანაშაულება, რომელიც აღნიშნულია სისხლის სამართლის დებულებაში, გადასცეს სამხედრო სასამართლოს.

სამხედრო წესებში არის ერთი მუხლი, რომლის ძალითაც მთავარ-სარდალს აქვს უფლება, საგანგებო პირობებში, **ისეთი განკარგულება მოახდინოს, რომელიც არ არის აღნაშნული „წესებში“.** ეს არის მე-12 მუხლი. ამ მუხლის ძალით მთავარ-სარდალს **მოქმედების სრული თავისუფლება აქვს მინიჭებული.** ეს ისეთი საგანგებო და მკაცრი უფლებაა, რომ ცხრაას ხუთიდან მოკიდებული მხოლოდ ერთხელ იყო გამოყენებული: მთავარ-სარდალმა გენ. სკალონმა ისარგებლა ამ მუხლით და რამდენიმე კაცს თვითონ გადაუწყვიტა ჩამოხრჩობა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი „წესებისა“, ზოგიერთ ადგილებში ადმინისტრაციას მინიჭებული აქვს განსაკუთრებული უფლებები: პოლონეთში, პეტერბურგში, მოსკოვში, ტურქესტანში, კავკასიაში და სხვ.

კავკასიაში ადრე მთავარ-მართებელს, ახლა კი ნამესტნიკს უფლება აქვს გადაასახლოს მავნე პირნი, დააჯარიმოს და დახუროს პერიოდული გამოცემანი, სამსახურიდან გადააყენოს, როგორც მთავრობის, აგრეთვე საზოგადო დაწესებულებების მოსამსახურენი, სამხედრო სასამართლოს გადასცეს ზოგიერთი საქმეები და სხ.

ზემოთ ჩამოთვლილ განსაკუთრებულ წესების გარდა რუსეთში არის კიდევ სხვა განსაკუთრებული წესები, რომლების ჩამოთვლა და განმარტება ჩვენ ძლიერ შორს წაგვიყვანს, ამისათვის ჩვენ აქ მათ არ შევეხებით.

განსაკუთრებულ წესებს 4 სექტემბრის **1910** წელს შეუსრულდება **29** წელიწადი. ამ ოცდა ცხრა წლის განმავლობაში ამ „წესებმა“ დაჩრდილეს, ფაქტიურად კი დააყენეს რუსეთის საზოგადო კანონები; „საზოგადო კანონებს რუსეთი მხოლოდ წიგნებიდან იცნობს“. და, რასაკვირველია იბადება კითხვა: მოუტანეს ამ წესებმა რამე სარგებლობა რუსეთს? ამ კითხვას არჩევენ **12** დეკემბრიდან **1904** წ. მოყოლებული სხვა და სხვა უმაღლესი ბრძანებით შემდგარი კომისიები და დამინისტრატიული სამართლის მცოდნე პირნი და სუყველა ერთხმათ უარყოფენ წესების მნიშვნელობას და სარგებლობას. თვით ყოფილი მინისტრი დურნოვო აღიარებს მათ უვარგისობას.

მართლაც, ეს „წესები“ გამოიცა „კრამოლასთან“ საბრძოლველათ და ჩვენ ვხედავთ, რომ 1881 წ. „კრამოლა“ ისე გაიზარდა, რომ ცხრაას ხუთში რუსეთში რევოლიუცია გაჩაღდა.

ამ „წესების“ შემოღების შესახებ გაოცემულ უმაღლეს ბრძანებაში (4 სექ. 1881 წ.) ჩვენ ვკითხულობთ: „სამწუხარო მოვლენებმა და აღელვებამ სახელმწიფოში გამოიწვიეს სამწუხარო აუცილებლობა დროებით შემოვიღოთ გარდამავალი თვისების საგანგებო ზომები სრული სიწყნარის დასამკვიდრებლათ და კრამოლის მოსასპობლათ“.

ჩვენ დავინახეთ, რომ **დროებითი** ზომები მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ისე შეეჩვივნენ ცხოვრებას, რომ ჩვენ ვიცით, რომ **გარდამავალი** თვისება საზოგადო ხასიათის შეიქნა; უკანასკნელი დრის ისტორია გვეუბნება, რომ **სიწყნარის** მაგიერ რუსეთი რევოლიუციას მიადგა. მაშასადამე, განსაკუთრებულ წესებს სულ უკუღმა უმოქმედნია და მათი მოსპობა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მთელი რუსეთის კეთილდღეობისათვის და წარმატებისათვის.

იტყვიან: განსაკუთრებული წესები ყველა სახელმწიფოებს აქვს შემოღებული. მართალია, მაგრამ „წესებიც“ არის და „წესებიც“. გარდა ამისა, სხვა სახელმწიფოებს ეს „წესები“ რეზერვში აქვთ და მხოლოდ მართლაც განსაკუთრებულ პირობებში შემოიღებენ ხოლმე და არა საზოგადო კანონათ გადააქცევენ.

ჩვენ ისეც კარგათ გვესმის, რომ დღევანდელ სოციალურ პირობებში არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მართვა-გამგეობა ყოველთვის ერთ **კანონიერ** კალაპოტში აწარმოვოს. კითხვა აქ მხოლოდ ამისთანა „წესების“ შედარებით ხმარებაშია.

რუსეთის მთავრობამ უკვე შეიმუშავა ამ კითხვის შესახებ ახალი კანონ-პროექტი, რომელიც დღეს-ხვალ სახელმწიფო დუმაში გაირჩევა. ეს ახალი „წესები“ ჩვენ ხელთა გვაქვს და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის ძველ „წესებთან“ შედარებით უფრო სასტიკია. გარდა ამისა, ახლა გვაქვს ორგვარი „წესები“: განსაკუთრებული და სამხედრო; კანონ-პროექტს კი, მხოლოდ ერთგვარი „განსაკუთრებული“ „წესები“ აქვს შემუშავებული, რომელიც დღევანდელ თანდათანობას სჭირდს.

წერილი ისედაც გაგვიგრძელდა, ამისათვის ამ ახალ „განსაკუთრებულ წესებს“ ჩვენ ახლა აღარ შევეხებით, ვიტყვით მხოლოდ როგორიც არ უნდა იყოს ეს „წესები“, რუსეთის მცხოვრებლებს ერთი გარანტია მაინც უნდა ჰქონდეთ,—რომ ამ „წესების“ შემოღება არამც და არამც არ უნდა მიანდონ ადგილობრივ ადმინისტრაციას, ვინაიდან ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მათ მართვა-გამგეობა „განსაკუთრებულ წესებში“ უფრო ეხერხებათ, ვიდრე საზოგადო კანონების ძალით. კანონი რაც უნდა იყოს **კანონია**, „წესები“ კი ამა თუ იმ **შეხედულებაზეა** დამყარებული, რომელსაც რუსები „უსმოტრენიეს“ ეძახიან.

იკა.

სახელმწიფო დუმა.

დეპ. ჩხეიძის სიტყვა

სჯდ. გუბერნატორის უკანონო განკარგულების შესახებ, რომელიც შეეხებოდა ოზოდის კოსტელებს.

(დასასრული).

ენით გამოუთქმელია ის ტანჯვა-წამება, რომელიც მთავრობამ უნიატებს მიაყენა. სცემდენ ხალხს მანამდე, სანამ სამხედრო ექიმები არ განაცხადებდენ, რომ წამების გაგრძობა საშიში იყო ნაცემის სიცოცხლისათვის, მაგრამ მთავრობა ამითაც არ დაკმაყოფილდა. ისეთ პირებს, რომლებიც ყველაზე მეტ წინააღმდეგობას უწევდენ მთავრობას, ყაზახები ჩაუყენეს სახლში, რომელნიც გლეხების მთელ სარჩო-საბადებელს ანადგურებდენ და მცხოვრებლებსაც ათასგვარ ტანჯვას აყენებდენ. მაგ., დაბა ლომაზში ყველა ქალები მანეჟში (ცხენების სახედნი ადგილი გადახურულ შენობაში) დაამწყვდიეს და მაზრის უფროსებმა ოლეშკომ და გუბანომ განკარგულება მოახდინეს, რომ ქალებთან ყაზახები შესულიყვენ და ისე მოქცეოდენ, როგორც სურდათ, თვითონ კი მამაკაცების მორჯულებას შეუდგენ. ქალების გულშემზარავმა წივილ-კივილმა, რომელიც მანეჟიდან მათ ქმრებს მოესმოდათ, აიძულა ეს უკანასკნელნი ხელი მოეწერათ ისეთ ქაღალდზე, რომელიც მათ ვალდებულათ ხდიდა მართლმადიდებელთა ეკლესიაში ეარათ. აი როგორ არჯულებდენ უნიატებს. ამას უწოდებენ ნახევართ შესრულებას იმ განკარგულებისას, რომელნიც პეტერბურგიდან იგზავნებიან. ეს კიდევ ცოტაა. მე ხელთა მაქვს ამონაწერები წიგნიდან, რომელსაც სახელათ უნიატების წამების ისტორია ეწოდება და წერილები იმ უნიატებისა, რომელნიც 1890 წელს ორენბურგსა და კრაკოვში იქნენ გადასახლებულნი. აი, რას მოგვითხრობენ ეს უნიატები: „1873—74 წ.წ. მოდიოდენ ჩვენთან ახალი მოციქულები ათასი ჯარის კაცით. შეუბრალებლათ გვცემდენ მათრახებს და ისე გვიკითხავდენ თავიანთ სახარებას. ნაცემი სხეულისაგან ამონახეთქი სისხლი მათ თვალებში ესხმოდათ, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდენ; ამას გარდა, მთლათ შესჭამეს რაც კი რამ გაგვაჩნდა, დაგვიკლეს ხარები, ცხვნები და სხვ. ცივ ზამთარში თავშიშველა ხალხს ჯგუფ-ჯგუფათ ერეკებოდენ სახლებიდან, გარშემო ჯარს შემოარტყამდენ და უბრძანებდენ, რომ შიშველი ხელებით ქუჩიდან თოვლი აეხვეტათ და შემოღობილში გადაეყარათ. როდესაც ამითაც ვერას გახდენ, კიდევ მეტ სისასტიკეს მიმართეს. გამოიყვანდენ გლეხს, დააწვენდენ მიწაზე, დააყენებდენ თავზე 4 ყაზახს და 400—500-ჯერ გადააკრევინებდენ მათრახებს. მათხრახებს სცემდენ არა მარტო მამაკაცებს, არამედ —14 წლის ქალიშვილებსაც კი; ლერუა ბოლიე მოგვითხრობს, რომ ერთმა უნიატკამ, რომელსაც არ უნდოდა მართლმადიდებელი მღვდლისათვის დაენებებინა შვილი მოსანათლავათ, მის (შვილს) თავისი ხელით გაუხეთქა კედელზე თავი. იქოსნიეთ მხედველობაში, რომ ეს მხოლოდ ბითი მაგალითი არ არის, რომელიც ლერუა ბოლიეს მოყავს თავის „მეფეთა წიგნში“, რომელიც გამოცემულია პარიზში 1889 წ. (მარჯვნიდან: მართალია, გამოცემულია, მაგრამ ვისგან არის დაწერილი?) შეიძლება ვინმე თქვენთაგანმა იფიქროს, რომ ეს ფაქტები უმაღლესმა მთავრობამ არ იცოდაო. ნება მიბოძეთ მოგიყვანოთ ერთი ადგილი, რომელიც აშკარათ ამტკიცებს, რომ ყოველივე ეს უმაღლესმა მთავრობამ მშვენივრათ იცოდა. აი, რას სწერს ერთი უმაღლესი მოხელეთაგანი, იურისტი სენატორი, სახელმწიფოს საბჭოს წევრი კონი, რომელიც მე-70 წლებში იუსტიციის სამინისტროს დეპარტამენტის ვიცე-დირექტორათ იყო, მეო-80 წლებში კი სენატის სისხლის სასამართლოს პროკურორათ.

კონი თავის მოგონებაში, რომელიც „რუს. სტარინაში“ დაიბეჭდა (1889 წ. თებერვ.), უნიატების საქმეების შესახებ სწერს:

„1889 წ. დასასრულს საბჭოს თავმჯდომარის გერარდის და იმავე პალატის პროკურორის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ უნიატების დიდებული შემოერთება მხოლოდ ბიუროკრატიის ავათმყოფი ფანტაზიის ნაყოფია.

როდესაც 1876 წ. საკითხი იყო დასმული პოლონეთის სამეფოში სასამართლოს რეფორმების შემოღების შესახებ, ამ მხარის უწყებათა ორივე წარმომდგენელმა სერიოზული შიში გამოსთქვეს, რომ თუ უნიატების მიერ გაწეულ წინააღმდეგობას სასამართლო ღია კარებში გაარჩევს, აუცილებლათ გამოაშკარავდება ყველა ის შემაძრწუნებელი ამბები, რომელიც უნიატების შემოერთების დროს ხდებოდა;“

ნება მიბოძეთ მართლ-მადიდებელი სამღვდელოების დასახასიათებლათ მაგითითოთ ერთ ცნობილ პირზე, მოვიყვანოთ რამდენიმე სიტყვა ერთი წიგნიდან, რომელიც ვ. რ. ფსევდონიმით არის გამოცემული და რომელიც, როგორც გადმოგვცემენ, უნდა ეკუთნოდეს ლიდვალიადის ცნობილ გმირს, გურკოს. „სამღვდელოება ვეღარ აკმაყოფილებს თავის მაღალ დანიშნულებას. მართლმადიდებელი ეკლესიის დებულება მოითხოვს მღვდელთ-მსახურისაგან, რომელიც „ინოროდცების“ კათოლიკეთა შორის მსახურობს, ზნეობრივი სიწმინდის დაცვას, რომ ღირსეულათ გამოხატოს სახელმწიფოებრივი სარწმუნოება.

სამწუხაროთ, ეს ასე არ არის. მღვდლის გავლენა სამწყსოზე სულიერ ზედაპირულ ენაში კი არ გამოიხატება, არამედ სასტიკ ზომებისადმი მიმართვაში, რადგან სულიერი მწყემსი თავს სახელმწიფო მოღვაწეთ სთვლის და მთელ თავის დროს პოლიტიკურ ბრძოლაში ხარჯავს. მართლ-მორწმუნეთა შორის ის, როგორც ქრისტეს სწავლის წარმომადგენელი, სცდილობს გაალვივოს სიყვარულისა და მიტევების გრძნობები, არამედ, პირიქით, გრძნობანი შურისა და სიძულვილისა მოწინააღმდეგეთადმი — კსენძებისა (პოლონელების მღვდელია) და კათოლიკებისადმი. მართლ-მადიდებელ სამღვდელოებას ჯაილებით უფრო ეხერხება ჯაშუშობა კათოლიკე სამღვდელოების საქმეში.“

მე შემეძლო კიდევ ბევრი საგულისხმიერო ადგილები მომეყვანა სხვადასხვა წყაროებიდან ჩვენი მოწინააღმდეგეების ნათქვამის გასაქარწყლებლათ, მაგრამ, ვგონებ, ნათქვამიც საკმარისია.

აი, რას ამბობენ, ბბ. ფაქტები, რომელზედაც აქ ეპისკ. ევლოღი ლაპარაკობდა, თუ ფარდას ავხდით არა პოლონელთა ცრუ-მეგობრების ხელით, არამედ მიუდგომელი სიმართლის ხელით.

გრაფი ბობრინსკი აქ პაფოსით გაიძახოდა: რწმენის თავისუფლება ყველასათვისო. მე ვფიქრობ, რომ დღეს ხალხის მუდარის ხმას მოისმენს რუსეთის სახელმწიფო დუმა, მაგრამ ბრწყინვალე გრაფს დაავიწყდა, როდესაც რამდენიმე ათი მილიონი რუსეთის მოქალაქე სარწმუნოების თავისუფლებას სთხოვდა სახელმწიფო დუმას, როგორ იქცეოდა ის (ბრბრინ.) მაშინ, ან მისი ამხანაგი ფრაქციისა, ყოვლად სამღვდ. ევლოღი? სად ბრძანდებოდით, ბბ., თქვენ მაშინ, როდესაც რამდენიმე ათი მილიონი რუსეთის „სტაროობრიადცები“ დუმას სარწმუნოების თავისუფლებას ემუდარებოდენ? ჩემი აზრით, თუ თქვენ ამ ტრიბუნაზე შემოდიხართ, გამოიჩინეთ სიმხნევე და აღიარეთ სიმართლე, სთქვით,

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დიდუბის სამკითხველო. დღიდან დაარსებისა (8 თებერვალი) დღემდე დიდუბის ბიბლიოთეკაში ყოფილა სულ **546** მკითხველი,—**520** მამაკაცი, **26** ქალი. ამ დროს განმავლობაში ბიბლიოთეკიდან გაუციათ, **132** წიგნი.

ნი: 72 ქართული წიგნი, 54—რუსული, 5 სომხური. ბიბლიოთეკას მოსდის 15 სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთი. ბიბლიოთეკას შემატებია 70 წევრი, ამათგან 50 პროც. ხელოსნები და მუშებია.

◆ **თფილისის გუბერნატორმა** ცირკულიარები დაუგზავნა ყველა მაზრის უფროსებს, რათა მათ დაუყონებლივ წარმოუდგინონ სია ყველა შეპყრობილ პირთა, სია მათი დანაშაულობებისა და აგრეთვე 1908—1909 წ. სხვა და სხვა შემთხვევების სიებიც.

◆ **გიდრავლიური სადგური.** ქალაქის ინჟინერი კოგნოვიცკი უკვე შეუდგა გიდრავლიური სადგურის გეგმის შედგენას. სადგური აიგება მტკვარზე, მუშტაიდის ზევით. ადგილი, სადაც სადგური უნდა აშენდეს, პროფესორ არტემიევის მიერ მოწონებულია.

◆ **გადაცემა ბაქოში.** 1 მარტს ბაქოში გაიფიცა „ფითოევისა და კომპ.“-ს 160 მუშა. მუშები მოითხოვენ გასულ წლის ჯილდოს; გასულ წლებში მუშები ყოველ მილიონ ფუთ ნავთზე ჩვეულებრივათ 8,000 მ. ჯილდოს დებულობდენ. გასულ წელს ქარხანას დაუმუშავებია 7 ნახევარ მილიონი ნავთი. მოითხოვენ 60,000 მ. გაფიცვა გრძელდება. (კ).

◆ **სტენოგრაფის მოწვევა.** საბჭოს ხმოსანთა ერთ ჯგუფს განუზადებია შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რათა ქალაქმა სტენოგრაფი მოიწვიოს საბჭოს ანგარიშების შესადგენათ.

◆ **კომერციული ბანკი.** 27 თებერვალს ნუხაში გაიხსნა თფილისის კომერციული ბანკის განყოფილება. პირველი მარტიდან ბანკის ოპერაცია დაიწყო.

◆ **იურისტთა საზოგადოებაში.** დღეს, 5 თებერვალს, საოლქო სასამართლოს შენობაში მოხდება იურისტთა საზოგადოების წევრთა კრება. ვეჭილი ვ. ი. წოვიანოვი წაიკითხავს მოხსენებას: „საჯარო საქმეთა ადმინისტრაცია“.

◆ **საჩივარი ტრამვაის წინააღმდეგ.** ქალაქის იურისკონსულტის თანაშემწემ ქანანოვმა საჩივარი აღძრა ტრამვაის წინააღმდეგ. ის ტრამვაიდან ნ კ. მოითხოვს, რომელიც მას უკანონოთ გადაახდევინეს ბილეთის ფასათ. ეს საჩივარი პრინციპიალურათ გადასწყვეტს საკითხს გადასჯდომ ბილეთების შესახებ.

◆ **მასწავლებელმა მასწავლებელი მოჰკლა.** სოფელ შირვენანში, (ზანგეზურის მაზრა) იმ დროს, როცა ადგილობრივი სკოლის მასწავლებელი რვეულებს ასწორებდა, მასთან ოთახში შეიჭრა ვილაც უცნობი. ხანჯლით სასიკვდილოთ დაჭრა და გაიქცა. დაჭრილმა დაწერა მოასწრო: „მომკლა ამხანაგ მასწავლებელმა არ. აგახანიანცმა“. ამის შემდეგ გარდაიცვალა. მკვლელობა რომანტიულ ნიადაგზე მოხდა. მასწავლებელი აღახანიანცი და ამავე სკოლის მასწავლებელი ქალი სკოლიდან დაუთხოვიათ. მასწავლებელ ქალზე ორივე მასწავლებელი შეყვარებული ყოფილან (ჰორიზონი).

◆ **საბავშვო კითხვები.** კვირას, 7 მარტს ავლაბრის აუდიტორიაში ქ. კარბელაშვილი ქართულათ წაიკითხავს. „იასონი“. აჩვენებენ შვიდ ბუნდოვან სურათებს. დასაწყისი დღის თერთმეტ საათზე.

◆ **ჩოხატაურიდან გვატყობინებენ.** დ. ხიდისთავში 27 თებერვალს დაატყვევეს ბასილეთის მასწავლებელი ემელიანე ლომთათიძე, ორი კიდევ სხვები და ჩოხატაურში ჩამოიყვანეს. ამავე დღეს ჩოხატაურშივე დაატყვევეს ს. ჯვარცხმის მასწავლებლები სერგო რუხაძე და პარმენ ჭანიშვილი. ესენი 28 თებერვალს დილით ადრე ფეხით გაგზავნეს ოზურგეთში.

— ამ დღეებში აქ მოელიან ქუთაისიდან ას ცხენოსან ყაზახს. პოლიციამ მათთვის სახლები უკვე დაიქირავა.

◆ **განთავისუფლება.** კავკასიის ნამცხეტიკის თანაშემწემ და ტობოლის გუბერნიიდან სამშობლოში დაბრუნების ნება დართო სენაკის მაზრის მცხოვრებს ვასილ ნ. გუნიას.

◆ **ლიხოვსკის ლექცია.** ოთხშაბათს, 3 მარტს სახაზინო თეატრში ლექტორ ლიხოვსკიმ წაიკითხა უკანასკნელი ლექცია კოლექტივიზმზე. პირველისა და ამ უკანასკნელ ლექციის რეცენზია შემდეგ ნომერში დაიბეჭდება.

◆ **სალდათის შეპყრობა.** 3 მარტს სომხის ბაზარში პოლიციამ შეიპყრო კორის მაზრის მცხოვრები დ. დ. ათანელოვი, რომელიც სალდათობას ემალებოდა.

◆ **უგზო-უკვლოთ დაკარგული.** თფილისის პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა პოლიციელებმა ენერგიული ზომები მიიღონ სულით ავათმყოფ ბადალ მკრტის ძე კაჭარიანის მოსაძებნათ, რომელიც 24 თებერვალს სახლიდან გამოვიდა და სახლში არ დაბრუნებულა.

◆ **ძაღლების გამოცდა.** გუშინ, 4 მარტს, ვაკეში მოახდინეს პოლიციელ ძაღლების გამოცდა. გამოცდას დაესწრენ პოლიცმეისტერის თანაშემწე სტროევი და ბოქაულები.

◆ **ს. კარტანეთში** (გორ. მაზრა) რამდენიმე ბიჭი განუზრახავთ შუამდგომლობა აღძრან წერა-კითხვის გამგრეცლებელ საზოგადოების გამგეობის წინაშე ამ სოფელში ბირველ-დაწყებითი სკოლის დასაარსებლათ.

◆ **ჩხრეკა და დაპატიმრება.** 3 მარტს სხვადასხვა სახლიტეთ უბნებში ხლიტეთმ შეაბერა 20 უბასპორტო.

◆ **სახადი ფოთში.** რამდენიმე დღეა, რაც სახადით არიან გამხდარა ავათ. ერთი თვის განმავლობაში ავათ გახდა 46, ამათგან გარდაიცვალა 11, მოხდა 12. დასარჩენები ავათ არიან. 26 თებერვალს ბარაკიდან გაიქცა სახადიანი ავათმყოფი „ბოგრანიჩნი დრაჯთა“ ფერშალი კარაულ კარაბუტი. გაქცეულს დევნა, პირიქით, მან გაუვალი უფსკრული დაუდვა საზღვრათ ამ ორ მონათესავე ერს. მოწინავე წოდების წარმომადგენელი, გრ. ბობრინსკი, რომელიც ამას წინათ ამხანაგობის, ძმობას და ერთობას ეფიცებოდა პოლონელებს, დღეს მზათაა ომი გამოუცხადოს იმავე პოლონელებს (მარცხნიდან: აი, ეს მართალია).

მაგრამ ბრწყინვალე თავად-აზნაურობის მოქმედება რაღა გასაკვირია მაშინ, როდესაც რუსეთის საზოგადოების უფრო რადიკალური ნაწილიც-კი ამ ჟამათ ისეთ ლოზუნგს აყენებს, როგორიც არის ნეოსლავიზმი, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, შოვინიზმის ყველა ჩანასახს შეიცავს. მაგრამ რუსეთის პოლონეთის და ხალხის შესაკავშირებლი ნიადაგი ნახულია, ეს კავშირი აღმოაჩინა რუსეთის და პოლონეთის მუშა ხალხმა, პროლეტარიატმა. მათ ამხანაგურათ გაუწოდეს ერთმანეთს ხელი, მათ შეიგნეს თავიანთი კლასობრივი ინტერესები და თქვენ არ შეგიძლიათ ამ კავშირის გაწყვეტა რაც უნდა არ ეცადოთ. რუსეთის და პოლონეთის პროლეტარიატმა უკვე გამოაცხადეს, რომ რუსეთში ბატონ-ყმური წეს-წყობილების მოსპობა—ერთად-ერთი პირობაა ძმური შეერთებისა, ორი მონათესავე ერის დაახლოვებისათვის. აქედან გამომდინარეობს პოლონეთის პროლეტარიატის მეორე მოთხოვნილება—პოლონეთის ფართო ავტონომიის აღიარება. (მარცხნით ტაშისცემა) აი პირობები პოლონეთის ერის შემომქმედი ძალების აყვავებისათვის. მაშ, გაუმარჯოს პოლონეთის ავტონომიას, ძირს ცრუნაციონალისტები და შოვინისტები! (მარცხნით ტაშისცემა; მარჯვნით სიცილი და სტვენა).

ხელის მომწერთა საყურადღებოთ!

გაზეთ „ახალი სხივი“-ს კანტორა სთხოვს იმ ხელის მომწერლებს, რომლებსაც გაზეთის მორიგი ნომრები დააკლდებათ, დაუყოვნებლივ აცნობონ ეს კანტორას.

ქებენ. ამბობენ ზღვაში დაიხრჩო თავიო. ამისათვის შემთხვევები შეიძლება კიდევ განმეორდეს, რაკიგან ავათმყოფები ერთი მხრივ ინახებიან ერიან და ხვირთხი მოჭდა არა აქვთ. სახლს კარდა ქალაქში უქმნიან ბაც კიწნდა. მან ერთბაშათ ამოწუვიტა ერთი ოჯახი. ექიმი დაგით დამბარაჯა ავათ გახდა უქმნირვებით, რომელიც ზემოხსენებულ ოჯახში ექიმობდა.

◆ **სამგლოვიარო წერილები.** დიდათ დაგვმწუხრა ამხ. სეფასტი მურგანიძის უდროოთ გარდაცვალებამ. სუფსულ ამხანაგების მოწდობილობით ქრისტეფორე გურგენაძე.

— დიდათ დამწუხრა ძვირფასი ამხანაგის სეფასტი მურგანიძის უდროოთ გარდაცვალებამ. დაუგწერია ჩვენთვის სახედი ამ გულწრფელი ადამიანის და სახალხო საქმისათვის ერთგული მუშაკისა: გიორგი გეგიაძე, ი. მგელაძე.

◆ **გადათარგმნილია და გამოვა ამ.** რიგად მწერალ ჭალის თხზულება „ბიძის თობას ჭახი“. წიგნი ზაფხულში მზათ იქნება.

◆ **რედაქციამ მიიღო** ახალი წიგნი: „მრეწველობა, ვაჭრობა-ხელოსნობა საქართველოში“, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. წიგნი სუფთათვა გამოცემული და შეიცავს 160 გვერდს, წიგნი ღირს 50 კ.

—

გურია. პირველ მარტს ოზურგეთში, დღითი 12 საათზე გიორგი დ. დუმბაძემ თავის ბინაზე წაიყვანა ადგილობრივ აფთიაქის შეგირდი პ. ზედგინიძე. სახლში რევორველის სინჯვის დროს ზედგინიძეს რევორველი გაუვარდა, მას ხელში მოხვდა და დუმბაძეს თავში. უკანასკნელი ნახევარ საათში გარდაიცვალა.

— გურიანთაში ამავე დღეს მეჯოგეთა კარავში შემთხვევით თოფი გავარდნია ერთს და მოუკლავს ნაკაშიძის მოჯამაგირე. ამავე დღეს ოზურგეთის ახლო, ხიდან ბავში გადმოვარდა და გარდაიცვალა. ოზურგეთში ერთმა ბავშმა მეორეს თავში ცული დაჰკრა და მძიმეთ დასჭრა.

— 28 თებერვალს გათენებისას სოფ. ასკანაში 30-დე ჩასაფრებულმა სტრაჟნიკებმა თალაკვაძის სახლიდან გადმოსული ისაკი თოიძე მოჰკლეს. მას ქონდა ვინტოვკა და 80-დე პატრონა.

— 28 თებერვალს სოფ. ჭაქუთში გაცარცვეს თათრების სამლოცველო ჯამე.

— 1 მარტს ჩხრეკა იყო სოფ. მაკვანეთში და ლიხაურში.

— ამას წინათ დაჭერილ ფ. ღლონტს და გრ. ღლონტს თითო თვის ციხე გადაუწყვიტეს. რ. ღლონტი გაანთავისუფლეს.

— სოფ. ექვდიაზე აზრათ აქვთ გახსნან საკვირაო სკოლა. შუამდგომლობა უკვე აღძრეს.

ჟურნალისტების კრება

(დასასრული)

ნესტ. ცერცვაძე. ამხირათ, ბედგეულებმა კიმაგრეს რა ჰოზიციები უფედო მხრით, ბირველათ მიიტანეს იერიში უკმე ბედელ-შენგრეულ თვითმბრთველობაზე. გამარჯვება ზურუნველყოფილი იყო. ჯერ კიდევ 1898 წ. რაკორც მახსოვს, ქალაქის თვითმართველობას გადწყვეტილი ქონდა, რომ რკინის გზა თვითონ ეწარმოებინა და უკვე მასალებიც შეემზადა, რომ სკვერს შესდგომოდა. მე მაშინ დიბერმანის სტამბაში ვიყავი კორექტორათ და გასწორებდი „ჯონკის“ ბიდეთების კორექტურას. ამ ბიდეთების დაბეჭდვას გვიკვეთავდა გერმანელი და უკვე რამდენიმე ათასი დაბეჭდილი. ეხლა კი, სწორეთ ათი წლის შემდეგ, ქალაქის გამგეობა და სააქციო ერთი ნაწილი ამტკიცებს, რომ ქალაქს არ შეუძლია ტრამვაის სკვერ თვითონ განაგოსო, ქალაქი დიდეულება თუ ეს წარმოება ბედგეულებს ჩამოართვაო. და თან ამით რამდენ სესხის კრედიტს იკეთებდენ ბედგეულებთან. მე ერთხელ დიდ გაკვირვებას მიგეცი, როდესაც ამ დროს სააქციო ერთ კრებაზე შემოველი და ვიდეც უცხო კაცი დავინახე ბრეზიდიუმში. ერთი უცხო კაცი ხატისოვის გვერდზე იჯდა. მე ჯერ მეგონა ვინმე გუბერნატორის გამოგზავნილი იქნება-მეთქი, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ ეს კაცი ადგა და თავმჯდომარის ადგილიდან ფრანგულათ დაიწყო დაპირკა. მაშინ შევკითხე, რომ ეს დებატი იყო. მეორე დღესვე ვიკითხე: კაცო, ეს საიდან მოხდა, რომ გუშინ ჩვენ საბჭოში ვიდეც ფრანტუზი მეორე „ბრედსედატელი“ იყო-მეთქი. ერთმა ითხუნჯა და მითხრა: ეგე, ჩემო კარგო ამბატომ, რომ ჩვენი ქალაქის საბჭო რეაქციის შემდეგ რესპუბლიკის კეთებას შეუდგა და ინსტრუქტორათ ფრანტუზი მოიწვია. მეორემ კი ბირდაბირი პასუხი მომცა: შენ დებატი წუხელ რესტორანში უნდა გეპასა. საბჭოში ხომ საქმის გადაწყვეტა გედარ მოასწრეს და სხდომა რესტორანში გადაიტანეს. და თუ საბჭოში ლუბინი ნახევარი „ბრედსედატელი“ იყო, აქ სრული „ბრედსედატელი“ და მასზედაც ზეო და რეზოლიუციაც შენი გამოიტანესო. მართლაც, შემდეგ მორიგ სხდომაზე საბჭოში გამგეობა და ხმოსნების ერთი ნაწილი წითელ-დამპყრობლების დიკტატურას. ეხლა ზოგიერთი შიშობენ, რომ ქალაქის თვითმართველობა ვერ შეიძლებს ელექტრონის სადგურის აშენებას. ეს ხომ ბრიანტული საქმეა. ეს ხომ ბრიანტული საქმეა. ეს ხომ ბრიანტული საქმეა

რი ადნიშნავს, რომ ის წინააღმდეგია კარგად კორესპონდენციათა წეგრებისაგან სასამართლოს შედგენისა, რადგან ისინი, ჯერ ერთი, არ დასთანხმდებიან, მეორეც ისა, რომ ყურნ. საზოგადოებას არ შეუძლია შუამავლის როლი ითამაშოს ყოფილ ნაგურსკისა და ამ კარგად კორესპონდენციათა შორის, და ბოლოს ისიც უნდა გვსთქვა, რომ ყურნალისტების მოქმედების დასაფასებლათ საუკეთესო მსჯელები არიან თვითონ ყურნალისტები და არა გეოგრაფიები, ტენოგრაფები და ექიმები.

ბუკშტეინი ამბობს, რომ ყურნ. საზოგადოების ეითერესება არა ბრალდებულთა ბედნაგნება, არამედ საქმის ბრინციპიალური მხარე. ამიტომ კრებისათვის არსებითათ ერთია: ეკუთვნის ეიფეინი და ნაგურსკი ყურნ. საზოგადოებას თუ არა. ბუკშტეინი მომხრეა, რომ სასამართლო ყურნ. საზოგადოების კარეშე მდგომ ბერთაგან შესდგეს.

კრება დიდი ხმის უმეტესობით ადგენს, რომ ეიფეინ-ნაგურსკის საქმე განსარჩეულ იქნეს ბატიოს ადმდგენელ სასამართლოს. მომავალი კვირისათვის მოწვეულ იქნება ყურნალისტების საზოგადო კრება, რომელზედაც მოწვეული იქნებიან ყურნ. საზოგადოების არა-წევრნიც. დამსწრეთაგან კრება ირჩევს 7 მოსამართლეს, ამასთანავე ეიფეინ-ნაგურსკის უფლება ეძლევათ ორი დასხელებული მოსამართლის კანდიდატურა.

ბ-ნმა ნაგურსკიმ თავის სიტყვაში სხვათა შორის სთქვა, რომ ბ. გელეიშვილი, რომელიც ახლა ჩვენ ჯგარზე გკვრას გვიბრობს, თვითონ მთელი წლის განმავლობაში დებუდობდა „გზაზრაჟდენიე“-ს რედ. კოთუასაგან თვეში 150 მ. და გაზეთში კი მონაწილეობას არ დებულობდა. ამის შესახებ ბ-ნი კოთუა „ნოვოეა რეჩი“-ს №-48 ნომერში სწერს, რომ მას, კოთუას, 1906 წელს ყველა თანამშრომლებმა და მოსამსახურეებმა წარუდგინეს მოთხოვნილება, რომლითაც მას საქმის დიკტაციის გამო სთხოვდენ მთელი წლის ჯამაგირს. გამომცემელმა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა და თავის მხრით თანამშრომლებს სამი თვის ჯამაგირი შეაძლია, ხოლო ასოთ-ამწყობებს და სხვა მოსამსახურეებს 3 ნახევარი თვის. ამაზე უკეთანი დასთანხმდენ, გარდა ბ. გელეიშვილისა. ბ. გელეიშვილს ჩემთან, როგორც რედაქტორთან ჭონდა განსაკუთრებული სიტყვიერი ბირობა. საქმე ამაშია, რომ გელეიშვილი, სანამ „გოზრაჟდენიე“ გამოვიდოდა, მიწეული იყო თანამშრომლად ერთ-ერთ ბეტერგაზეთში. ამიტომ თვითონ დარჩა მხოლოდ მას შემდეგ, როცა მე მთელი წლის ჯამაგირის უზრუნველყოფა ვთქვი, თვეში 150 მ. გაზეთის დაკვიდატების შემდეგ ჩემი საკუთარი ბირობა კიდევც მოგეეწია სასრულეში და სრულიად გადაეხადე მთელი წლის ჯამაგირი, თვეურად 150 მ. მიუხედავათ ამისა, რომ გელეიშვილი შემდეგ ჩემს გამოცემებში არ ღებულობდა მონაწილეობასა.

რისთვის ერეკებიან?

(წერილი ფოთიდან.)

(დასასრული)

მთავარი წესდების მეცამეტე პარაგრაფი კი ამბობს: „საზოგადოების უმთავრესი გამგეობა ეკუთვნის მისს წევრთა საზოგადო კრებასა“ და სხვა. თუ ამას მიუმატებთ წესდების მეათე მუხლს, სადაც ნათქვამია: „ნამდვილ წევრათ ითვლება ვინც განაცხადებს სურვილს საზოგადოების სასარგებლოთ ყოველ წლივ შემოიტანოს სამ მანეთზე არა ნაკლები, ანუ ერთ დროებით 60 მანეთზე არა ნაკლები და ვინც არჩეულ იქმნება ამ წოდებისათვის საზოგადო კრების მიერ ორის დამფუძნებელის, ან ოთხის ნამდვილის წევრის წინადადების თანახმად“ და მეთექვსმეტე მუხლს, სადაც ნათქვამია: „საზოგადო კრებაში საქმე გადასწყდება დამსწრე წევრთა მარტივის უმეტესობით“-ო—მაშინ მეათე, მეცამეტე და მეთექვსმეტე მუხლების ძალით მთავარ გამგეობას შეეძლო კანონიერათ ეცნო ფოთის არჩევნები და გვერდი აეხვია რაღაც სულ უმნიშვნელო ფორმალიზმისათვის. ამას მოითხოვდა „საზოგადოების“ სარგებლობა და მაშასადამე, მისი ინტერესებიც.

„წერა-კითხვას საზოგადოების“ წესდება რომ დაიწერა, მაშინ ადგილობრივ განყოფილებათა გაჩენის შესახებ არც კი შეიძლებოდა დღევანდელსავით ნათელი შეხედულება ყოფილიყო, ამიტომაც ამის შესახებ წესდებაში არაფერი სწერია. მარტო მეოცდაბუთე მუხლი ამბობს ყრუთ: „საზოგადოებას უფლება აქვს განყოფილებათა გახსნისო“, მაგრამ როგორ? რა წესით? ამას ჯეროვანათ ვერც „ინსტრუქცია“ ანათებს.

ერთი სიტყვით, ძველი და დროს შეუსაბამოა საზოგადო წესდება, აუტანელია საწევრო გადასახადი, არ ვარგა „ინსტრუქცია“, ჭეცდა მთავარი გამგეობა 31 ფოთელი წევრი რომ არ სცნო კანონიერათ (შეიძლება სულ უმნიშვნელო მოსაზრებით) დამნაშავე არიან ფოთელი ინიციატორები, რომ წესდების შეუსწავლელათ მოჰკიდეს ხელში საქმის მოწყობას და ამით საზოგადო საქმე ძლიერ შეაფერხეს. თუ მართლა ორი წელია ისინი ამ საქმეზე ზრუნავენ, ნუ თუ ამ ხნის განმავლობაში წესდება არ უნდა შეესწავლათ? ან რაში გამოიხატა მათი მუშაობა? ისინი ერთხელაც არ ცდილან ფართო საზოგადოებისთვის მიემართათ კერძო განცხადებით თუ სხვა რაიმე ამ შემთხვევისათვის საჭირო საშუალებით. მთელი მათი მუშაობა იმაში გამოიხატებოდა, რომ როგორმე ჩუმათ, მეზობლურათ ოცდაათი თავიანთი ახლობელი თანამოაზრე წევრები მოეკრიბათ „საზოგადოებისათვის“, რომ შემდეგ განყოფილება გაეხსნათ და გამგეობის სათავეში თვითონ წამოსკუპებულიყვენ.

ეს მათი სულიერი მიდრეკილება აშკარათ გამოჩნდა 7 თებერვლის კრებაზე. ისინი ამ დღეს არ მოელოდენ იმ სტუმრებს, რომლებიც მათ ეწვიათ და სწორეთ ამიტომაც განაცხადეს: ჯერ ავირჩიოთ გამგეობა უკვე მიღებული ნამდვილი წევრებისაგან და შემდეგ მივიღოთ ახალი წევრებიო. ლოღიკაც და სამართალიც ასეთი უნდა? მოიწვიეს ახალი წევრები გამგეობის ასარჩევათ და შემდეგ კი ეუბნებოდენ წესდების ძალით არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებთო. რასაკვირველია, ამან დიდი აურზაური ასტეხა.

„ორმოცდა თერთმეტ წევრთა ნამდვილ წარმომადგენლათ ვერ ჩაითვლება 22 წევრის მიერ არჩეული გამგეობაო“. —ასეთი სამართლიანი საყვედური ისმოდა ახალი წევრებისაგან. და მართლაც, რისთვის ერეკებიან ან 31 წევრთ საზოგადო, საერო საქმიდან—რა წილი უდევთ მათ ფოთელ ინიციატორთა დანაშაულში? მოიწვიეს—მობრძანდითო და ისინიც მოვიდენ სამ-სამი მანეთით ხელში (ეს გადასახადი ხომ ყველასათვის ხელმისაწდომი არ არის?)

წესდების ძალით გამგეობა ირჩევა სამი წლის ვადით, ამ ხნის განმავლობაში 31 წევრს რომ თავის წარმომადგენელი არ ეყოლოს 22 კაცის მიერ არჩეულ გამგეობაში, ეს ხომ ყოვლად უსამართლობა იქნება. „საზოგადოებაში“ იმიტომ კი არ ეწერებიან, რომ სამი მანეთი გადაიხადონ, არამედ იმიტომ იხდიან 3 მანეთს ისედაც გაძვალტყავებულები, რომ უფლება მოიპოვონ სახალხო, საერო კულტურულ დაწესებულებაში და თავისი წარმომადგენლების საშუალებით გავლენა მოახდინონ წესდების შემუშავება-შეცვლაში, თუ მართვა-გამგეობის საქმეში. ფოთელი ახალი წევრებიც ამ აზრით მოვიდენ 7 თებერვლის კრებაზე ინიციატორთა მოპატიჟებით, მაგრამ მათ ხელს კრავენ, კულტურულ საქმეს აშორებენ. ეს დანაშაულებაა, საზოგადო საქმის პირქვე დამხობაა, მისი ღალატია და არა სამსახური.

მართლა რომ ეს 31 წევრი ეხლა გამოვრიყოთ, ვინ იცის, შეიძლება ამ გარემოებამ ბევრ მათგან სრულიად აუცრუოს გული ამ საზოგადო საქმეზე და ამ მაგალითის მიხედვით არც ახალი ჩაეწეროს ვინმე. ამისათვის მე წინადადებას ვიძლევი ჩაუფიქრდენ საქმის მეთაურები ამ გარემოებას—გამართონ საზოგადო კრება და თუ შეიძლება კიდევ მოკრიბონ წევრები, მოუპოვონ 31 ახალ წევრს სხვებთან ერთად „წ. კ. საზოგადოების“ ნამდვილი წევრთა უფლება და მხოლოდ შემდეგ მოახდინონ ადგილობრივი განყოფილებების გამგეობის არჩევნები ძველი და ახალი წევრების მონაწილეობით. საერო—კულტურული საქმე ვიწრო ფარგალით შემოხაზული არ უნდა იყოს—რამდენათაც მეტი წევრი ეყოლება „საზოგადოებას“, იმდენათ მოღონიერდება ის ეკონომიურათ. რამდენათაც გაძლიერდება ერის უმეტესობის, ნამდვილი ხალხის მონაწილეობა ამ საზოგადოებაში, იმდენათ დაადგება ის განახლების გზას და გახდება ნამდვილ ეროვნულ კულტურულ დაწესებულებათა—ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით. **გან-დან.**

უკანასკნელი ფოსტა

სპარსეთი

მდგომარეობა სპარსეთში. საზოგადო მდგომარეობა სპარსეთის სატახტო ქალაქში უკანასკნელი დღეების განმავლობაში არ შეცვლილა. როგორც გაზ. „ტ. ლ.“ დეპეშით აუწყებენ, რეაქციონერებსა და ახალი რეჟიმის მომხრეთა შორის განხეთქილება თანდათან მწვავე ხასიათს ღებულობს. სეპეხდარის განკარგულებით თანამდებობიდან დაითხოვეს ყველა მოხელენი, რომელნიც რეაქციონერთა პარტიას ეკუთნიან. საზოგადო უკმაყოფილებას აცხადებენ რეგენტის წინააღმდეგაც. დღე-დღეზე მოელიან მის გადაყენებასაც. სამხედრო პირებთა შორის თავი იჩინა მღელვარებამ. ზოგიერთი მომხრეა სამხედრო დიქტატურის გამოცხადებას.

„რუსსკ. სლოვოს“ თანამშრომლისათვის რეგენტს უთქვამს, რომ ის ძალიან იმედ გატეხილია სპარსეთის საქმეების მდგომარეობით. კერძო პირები და ჯგუფები ყოველ ღონის ძიებით ხელს უშლიან სპარსეთში კონსტიტუციის განმტკიცებას და ცდილობენ დაარღვიონ საუკუნოებით განმტკიცებული მეგობრული დამოკიდებულება სპარსეთსა და უცხო სახელმწიფოებს შორის: ყველაზე მეტათ კი ამხედრებული არიან რუსეთის წინააღმდეგ. რეგენტის აზრით, სპარსეთში კონსტიტუციის გამაგრება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მოსალოდნელია, თუ „რუსეთსა და სპარსეთს შორის მეგობრული დამოკიდებულება არ დაირღვევა.“

რუსეთი.

„ნედოიმკების“ აკრება. ვოლოგდიდან „რეჩს“ სწერენ: 14 და 15 თებერვალს ვოლოგდის მაზრაში მოხდა „ნედოიმკების“ აკრება. ბოქაულმა ვოლოგდიდან დაიბარა საერობო დარაჯთა რაზმი. მოვიდა 45 საერობო დარაჯი თოფებით და მათრახებით შეიარაღებულნი უფროს კამენევის მეთაურობით. კამენევი დაბინავდა სასოფლო სამმართველოს შენობაში და საერობო დარაჯები დაგზავნა სოფლებში გლეხების შესაგროვებლათ. გლეხებს ჯერ უარიც არ გაეცხადებიათ გადასახადების გაღებაზე, რომ დარაჯებმა მათრახებსა და თოფების კონდახებს მიმართეს. გლეხებს უმოწყალოთ სცემდენ. იტაცებდენ საჯახო ნივთებს, მიყავდათ ცხენები, ძროხები და ყველაფერი მიქონდათ, რაც კი ხელში მოხდებოდათ. დაწიოკებული გლეხები სოფ. სამმართველოში მიდიოდენ, იქ მათ კამენევი უმასპინძლდებოდა მუშტებით. გლეხების წანაგლეჯ ნივთებს ჩალის ფასათ ყიდულობდენ სოფლის ჩარჩები. გლეხს ივ. ოსიპოვს კამენევმა მათრახის ტყვიანი ბოლოთი თავი გაუხეთქა, ძროხა გაუყიდა და 25 მან. და 11 კაპ. გადაახდევინა, თუმცა ოსიპოვს მხოლოდ 23 მან. და 44 კაპ. უნდა გადაეხადა. გლეხ ივ. კრუჩკოვს კამენევმა მუშტით ცხვირ-პირი ჩაუმტვრია და ცალ ყბაზე წვერები ააბდღვნა. ამასაც არ დასჯერდა კამენევი და გლეხი 5 დღესა და ღამეს დაამწყვდია ცივ ქოხში უპმელ-უსმელათ.

გლეხი არხიპოვი სამმართველოში მიიყვანეს ნაცემი და აზრათ ქონდათ პასუხის გებაში მიეცათ მთავრობის წინააღმდეგობის გაწევისათვის. ნამდვილათ კი, არხიპოვს საერობო დარაჯებისათვის ეთხოვა სახლში არ შესულიყვენ, რადგან მისი ცოლი მშობიარეთ იყო და ლოგინათ იწვა.

დეპუტატების დაჯარიმება. სახ. დუმის უკანასკნელ სხდომებზე ბევრი დეტატთაგანი არ დასწრებია და არც საპატიო მიზეზები წარუდგენიათ სხდომაზე დაუსწრებლობის. ასეთი დეპუტატების რიცხვი „უ. რ.“ სიტყვით 38-დეა. ყველა ამ დეპუტატებს დაჯარიმება მოელის. დასაჯარიმებელ დეპუტატების სიაში არიან, სხვათა შორის, ნაციონალისტების ლიდერები გრ. ბობრინსკი და მოტიველოვი, კადეტების ფრაქციიდან—მილიუკოვი და ნესლოვიჩი, ოქტომბრისტებიდან — ლერხე, რომელიც სხდომას თუმცა დასწრებია, მაგრამ კენჭის ყრის დროს ტელეფონთან იჯდა თურმე და თავის მხედრობას იწვევდა სახ. დუმაში. მემარჯვენეების მხრით დაჯარიმებელთა სიაში არიან, სხვათა შორის, ექვსი მღვდელი და ტიმოშკინი. სოციალდემოკრატები და ტრუდოვიკები მთელი შედგენილობით დასწრებიან სხდომებს.

პურიშკევიჩის საჩივარი. ვ. პურიშკევიჩს სამთო ინსტიტუტის სტუდენტების წინააღმდეგ ახალი საჩივარი აღუძრავს. პურიშკევიჩს განცხადება წარუდგენია საოლქო სასამართლოს პროკურორისათვის, რომ პასუხის გებაში იქნეს მიცემული სამთო ინსტიტუტის სტუდენტი გაპეევი, რომელმაც მის უდიდებულესებას სიტყვიერი შეურაცყოფა მიაყენა სასამართლოში, როდესაც ჩვენებას იძლეოდა მის (პურიშ.) და ინსტიტუტის საფონდო კომისიას შორის ატეხილ საქმის შესახებ. როგორც გაზეთი „რ. უ.“ გადმოგვცემს, პურიშკევიჩის ახალი საჩივარი სასამართლოს გამომძიებელისათვის გადაუცია. გამომძიებელს საქმე გამოუძიება და რადგან გაპეევის სიტყვაში დანაშაულობა ვერ აღმოუჩენია, პასპობათ წარუდგენია.

იარაღების დაჭერა. 26 თებერვალს სადგურ „ბლოოსტროვზე“ პოლიციას დაუტუსაღებია უცნობი. როგორც „ნოვ. ვრ.“ გადმოგვცემს, უცნობს გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ტანზე შემოკრული ასაფეთქებელი ფითილი, სიგრძით რამდენიმე ასი არშინი. პოლიციის გამოკითხვაზე უცნობმა განაცხადა, რომ ის ტვერის გუბერნიის გლეხი, გვარათ კუზნეცოვია.

პოლიციას გაუჩხრეკია მატარებლის ვაგონებიც. ერთ ვაგონში პოლიციელი წააწყდა ყუთებს, რომლებშიაც დახსილი იარაღები ეწყო. დაატუსაღეს ვინმე ალმაზოვი და ინგლისის ორი ქვეშევრდომი: მეკლიტი და იოროსი, რომელთაც ტყვიებით გატენილი ბრაუნინგები აღმოაჩნდათ წაღის ყელებში. იქვე ვაგონში, ფეჩის გვერდით იპოვნეს რამოდენიმე ტომარა, რომელშიაც გახვეული რევოლვერები და პატრონები აღმოჩნდა.

გაფიცვები. კოლომენის მანქანების საშენებელ ქარხანაში 1 თებერვალს გაიფიცა 400 კაცი. გაფიცვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ქარხნის გამგეობამ ძველ პირობებშივე უარვე მიიღო დათხოვნილი 200 მუშა.

— გასულ კვირაში სპილენძის ქაბეების საკეთებელ ქარხანაში, მოსკოვში, გაიფიცა 120 მუშა. მუშები მოითხოვდენ ხელფასის მომატებას. მუშების მოთხოვნილება ქარხნის პატრონმა არ დააკმაყოფილა და მუშებიც იძულებული გახდენ მუშაობა განეახლებინათ.

პროვინცია

ბათომი. სოფელი ვნახე უძალოშიგ გავიარე უჯოხოვო—სწორეთ ბათომზეა თქმული ნავთის ქარხნების დახრუსის შემდეგ ქალაქი სამარეს დაემსგავსა და ამ სამარისებურ სიჩუმის დროს გასავრიც არ არის თუ ყოველი ქვემძრომი ამოცოცდა ზევით—იწყო ფარფაშობა. „ბათუმსკაია ვესტი“, რომელიც ბათომში გამოდის, აქებს-ადიდებს ვიღაც „ჩუდო მალჩიკს“ და ყურადღებას არ აქცევს, ან არ უნდა მიაქციოს, ისეთ რაღას, როგორიც არის თეატრი. კალმით აუწერელია ყველა ის, რაც ხდება საბრალო ბათომის სცენაზე. განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მხრივ ქართული წარმოდგენების ბედი. წარმოდგენებს დგამს სამი ქართული ჯგუფი: გვას „დასი“, მამულოვის და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა ჯგუფი ბ. ხარაბიშვილის რეჟისორობით. გიგოს დასი ეს დასი კი არა, ორი კაცია, რომლებიც თვითონაც არ იციან რას შვრებიან. მამულოვის „დასს“, თუ არ ვცდები, თვილისელებიც იცნობენ. ეს „დასი“ საუმარო დასი არ გეგონოსთ. წარმოდგენებს დგამს при благосклонномъ участіи артиста Гр.-К. Мчедлишвили.

წარმოდგენები იდგმება ყოვლათ ღმსგავსო. ბილეთები იყიდება შანტაჟისტური საშვალებით და ყველა ამან შეაძულა ხალხს სცენა. ამ ვაჟბატონების ალაგვა შეიძლებოდა მუდმივი დასის დაარსებით, მარა ჩვენდა საუბედუროთ ჯერ ჯერო. ჯერობით ყოველათ მოუხერხებელია, რადგანაც ბათომის პირობებში ძლივს ამის საშუალებას. გვრჩება აღგილობრივ სცენის მოყვარეთა ჯგუფი, თომელიც ნახევრათ მაინც შეავსებდა ნაკლს, მარა შინაურ მოუწყობლობას უნდება და სად სცალია დადებითი მუშაობისათვის. საზოგადოებას უფლება აქვს მოთხოვოს მათ გააძლიერონ მუშაობა. **ალგრუს.**

საყულიის საზოგადოება (ქუთ. მაზ.) ხალხი მეტათ ცუდ მდგომარეობას განიცდის. ერთით ერთი იმედი სიმინდი იყო და იმასაც გვიდალატა, დღეს გერ შეგხვდებით ისეთ გლეხს, რომელიც სიმინდს არ ყიდულობდეს. რით გასცენ ბასუხი სხვა და სხვა გადასახადებს, ალარ იციან. მიუხედავათ ასეთი გაჭირვებული მდგომარეობისა, გადასახადებს დღითი დღე უმატებენ. ეს კიდევ რა არის, ერთხელ გადახდილს მეორეთ ახდევინებენ, თუმცა ეს ფული კომისიამ ძველ ფულის ამგრებთ დაიდვა ჯიბეთ. ასეთ აწეწილ საქმეების გამოკეთებას შეეძლო კარგ მამასახლისს, მარა არ იქნა და არა, ერთი ხეირიანი მამასახლისი გერ აირჩიეს.

ხალხის რამდენიმე გულშემატკივარმა დეპუტატი გაუგზავნა არჩევნების მოსახდენათ მომრიგებელ შუამავლის ბ-ნ ანანიაშვილს. არჩევნებში გარეშეები ნუ შემოგვეტიდებიან, კანდიდატის წამოყენება გვინდოდეს დახურული კენჭით, მარა შუამავლმა ამ მოთხოვნას ყურადღება არ მიაქცია, არა-მკითხეებმა კანდიდატათ წამოაყენეს კეშუდაძე, რომელიც ხალხმა ერთხმათ გაიშალა, მარა თავის წამოყენებული კანდიდატიც გერ გაიყვანა და მამასახლისობა მოხერხებით არგუნეს ისეთ კაცს, რომელიც მწერალის და მისი დამქაშების ყურმოჭრილი უმა იქნება. ძველ მამასახლისებს ს. კეშუდაძეს და ი. კაშიას, როგორც გამოირკვა, სასოგადო ფული ბლომათ გაუფლანგავთ. ამის შესახებ სოფელი ირჩევს კომისიას, რომელმაც დაწვრილებითი რევიზია უნდა გაუკეთოს იმ წლების ანგარიშს და გამოაშკარავოს მათი საქმენი სავმირონი. **ს. სხეაგიშვილი.**

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

განცხადება

კვილის საექიმო კაბინეთი

იოსებელისა

(„გაუფრთხილდით კბილებ“-ს ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—27)

მატარებლების მიმოსვლა

15 ოქტომბრიდან 1909 წ.

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

თფილისიდან გადის

ბაქოსკენ: საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ. სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილი სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ. შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

ბათუმისკენ: საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დი ლით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს 28 წ. დღით.

თფილისში მოდის

ბაქოდან: საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ. სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით სამგზავრო № 11, 10 ს. 47 წ. დილ. შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 3 ს. 16 წ. დღით.

ბათუმიდან: საფოსტო № 4, 10 ს 40. წ. ს ღამის; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონები № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

თფილისიდან გადის

მაიხილოვში: სამგზავრო-საქონლის № 9, 3 23 წ. დღით.

თფილისში მოდის

მიხაილოვიდან: სამგზავრო-საქონლის № 8 ს. 23 წ. დილით.

ყარსის გზაზე

თფილისიდან გადის: საფოსტო № 74/7 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქო ლის № 72/79 ერევანში; 4 ს. 20 დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონები № 10 109, ალექსანდროპოლში 5 8 წ. დღით.

თფილისში მოდის: საფოსტო № 72/73 ჯუ ფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრ საქონლის № 80/81 ერევნიდან 6 44 წ. საღ.; შერეული მე-IV ლვ. გონებით № 110/111 ალექსანდროპ ლიდან ღამით 4 ს. 48 წ. .